

# ეპიტეტ – ბარის ვირუსით ინფიცია

ინფიციაზე მონოგრაფია

კლინიკური მართვის ნაციონალური რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „ეპშტეინ-ბარის ვირუსით ინფექცია – ინფექციური მონოუკლეოზი“ მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2007 წლის 21 მარტის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 21 დეკემბრის № 365/ო ბრძანებით.

# ეპთეინ – ბარის ვირუსით ინფექცია

## ინფექციური მონოუკლეოზი

1. დააგადების განსაზღვრება, სინონიმები, პლასიზიგაცია,  
ტერმინოლოგია

დააგადების განსაზღვრება:

ინფექციური მონონუკლეოზი ეწოდება ეპშტეინ-ბარის ვირუსით (EBV) გამოწვეულ  
პირველად ინფექციას, რომელიც ხასიათდება ცხელებით, ინტოქსიკაციით,  
ტონზილიტით, ელენთის, ღვიძლისა და ლიმფური კვანძების გადიდებით,  
პერიფერიულ სისხლში ატიპური მონონუკლეარების არსებობით.

EBV, სხვა პერკესიგირუსების მსგავსად, ახასიათებს ორგანიზმში ხანგრძლივი  
პერსისტენცია და ინფექციის ქრონიკული და ლატენტური ფორმები, პერიოდული  
გამწვავებებით.

დააგადების სინონიმები:

პირველადი ეპშტეინ-ბარის ვირუსით ინფექციის სინონიმებია: ფილატოვის  
დაავადება, პფეიფერის დაავადება, ჯირკვლოვანი ცხელება (ნ.ჟ.ფილატოვი,  
ნ.ფეიფერი, მე-19 საუკუნე). 1886 წლიდან ამ დაავადებამ 60-ზე მეტი სახელწოდება  
შეიცვალა: სუბლეიკემიური ლეიკოციტოზი, კეთილთვისებიანი ლეიკემია (1910-  
1920წ.წ.), ლიმფომონოციტური ანგინა, კოცნის დაავადება და სხვ.

სახელწოდება „ინფექციური მონონუკლეოზი“ ეკუთვნის შპრუნგსა და ევანსს (1920-  
1921 წ.წ.).

*ICD-10-ის მიხედვით ინფექციური მონონუკლეოზის კოდია B 27*

ეპთეინ-ბარის ვირუსით გამოწვეული ინფექციის პლასიზიგაცია.<sup>10</sup>

➤ ეპშტეინ-ბარის ვირუსით გამოწვეული პირველადი ინფექცია:

1. ინფექციური მონონუკლეოზი
2. დუნკანის დაავადება.

➤ ქრონიკული ინფექცია:

1. ბერკიტის ლიმფომა
2. ჰოჯკინის დაავადება
3. დუნკანის დაავადება

➤ ლატენტური ინფექციის რეაქტივაცია:

1. ნაზოფარინგეული კარცინომა
2. იმუნოკომპრომეტირებულ პირებში განვითარებული ლიმფომები.

## 06 გენტიური მონოუპლეოზის კლასიფიკაცია:

⇒ დაავადების კლინიკური გამოვლინების მიხედვით არსებობს ინფექციური მონოუპლეოზის კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ფორმებს<sup>1</sup>:

### 1. კლინიკური ნიშნების მიხედვით:

- ტიპური
- ატიპური
- სუბკლინიკური

### 2. სიმძიმის მიხედვით:

- მსუბუქი
- საშუალო სიმძიმის
- მძიმე

### 3. გიგანტურობის მიხედვით:

- მწვავე
- ქრონიკული

## ტერმინლოგია:

**კაფსიდი** - ცილოვანი გარსი, რომელიც გარს აკრავს ვირუსის დნმ-ს.

**კაფსომერი** - კაფსიდის შემადგენელი მორფოლოგიური სუბერთული.

**ეპისომა** - ვირუსის გენომი, რომელიც მდებარეობს უჯრედის ბირთვში და არ არის ინტეგრირებული უჯრედის დნმ-ში.

**კომპლექტი** - ორგანიზმის არასპეციფიკური დაცვის ჰუმორული ფაქტორი. წარმოდგენილია სისხლის შრატის პროტეინების კომპლექსით, რომელიც ჩვეულებრივ არააქტიურ მდგომარეობაშია. მისი აქტივაცია ხდება ანტიგენის ანტისხეულთან დაკავშირების ან ანტიგენის იმუნოკომპლექტურ უჯრედზე აგრეგაციის შემთხვევაში.

**CD** - უჯრედის მემბრანის ზედაპირზე არსებული რეცეპტორები. სტრუქტურულად წარმოადგენენ გლიკოპროტეიდებს (ინგლ. Cell Differentiation Antigens. Claster Definition).

**CD21** - B ლიმფოციტების ზედაპირზე არსებული რეცეპტორი, რომელიც სამიზნეა კომპლექტის C3d კომპონენტისა და ეპტენ-ბარის ვირუსის gp 350/220 ცილისთვის.

**გირინი** - ვირუსის უჯრედგარე ფორმა.

**კოინფექცია** - (ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ერთად“) - ორი სხვადასხვა მიკრობული ფაქტორით ინფიცირება.

**აგრანულოციტოზი** - გრანულოციტური ლეიკოციტების რიცხვის მკვეთრი შემცირება ან სრული გაქრობა პერიფერიულ სისხლსა და სისხლმბად ორგანოებში.

**ტრანსკრიფცია** - (ლათ. transcriptio - გადაწერა) - ინფორმაციულ რნმ-ზე (ი-რნმ) ნუკლეინმჴაგადან გენეტიკური ინფორმაციის გადაწერა ნუკლეოტიდების თანმიმდევრობის სახით.

**ტრანსლაცია** - (ლათ. translatio - გადატანა, გადაყვანა) - ი-რნმ-ით რიბოსომებზე გენეტიკური ინფორმაციის გადაცემა.

**ქრომოსომების ტრანსლოკაცია** (ლათ. translocatio chromosomatum. ლათ - trans - გადაადგილება და locus - ადგილი) - ქრომოსომების სტრუქტურული გარდაქმნის სახესხვაობა, რომლის დროს ჰომოლოგიურ ან არაჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის რომელიმე სეგმენტი გადაადგილდება. ტერმინი შემოიღო ბრიდჯესმა (1917წ).

**VCA** - ვირუსის კაფსიდის ანტიგენი.

**EA** - ვირუსის ადრეული ანტიგენი.

**EBNA** - ვირუსის ნუკლეარული (ბირთვის) ანტიგენი.

**LMP** - ლატენტური მემბრანული ანტიგენი.

**EBER** - ვირუსში კოდირებული რნმ.

**VAHS** - ვირუს ასოცირებული ჰემოფაგოციტური სინდრომი.

**HRS** უჯრედები - ჰოჯკინ-რიდ-შტერნბერგის უჯრედები.

**PTLD** - ტრანსპლანტაციის შემდგომი ლიმფოპროლიფერაციული დაავადებები.

**დნმ პოლიმერაზა** - ფერმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ვირუსის გენომის ტრანსკრიფციასა და რეპლიკაციას.


**პროტეინგინაზა** - ფერმენტი, რომელიც ახდენს ვირუსის ცილების მოდიფიცირებას.

**სეროპრევალენტობა** (ინგლ. prevalence - გავრცელება) - სეროლოგიური გავრცელება.

## 2. ეპიდემიოლოგია

**EBV** მთელ მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული. ვირუსით ინფიცირებულია მოზრდილი ასაკის მოსახლეობის 90-95%.<sup>2</sup> განვითარებად და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა დაინფიცირება ძირითადად ბავშვთა ან ახალგაზრდა ასაკში ხდება, ხოლო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში - სქესობრივი მომწიფებისა და პოსტპუბერტატულ პერიოდში<sup>9</sup> (სურ.1).<sup>9</sup>

## EBV-ს სეროკარევალენტობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში



სურ. 1

ბავშვთა ასაკში ეპზეინ-ბარის ვირუსით პირველადი ინფექცია სუბკლინიკურად ან მსუბუქი ტონზილიტის სახით მიმდინარეობს. განვითარებად ქვეყნებში კლინიკურად მანიფესტირებული ინფექციური მონონუკლეოზი შედარებით იშვიათად გვხვდება. მოზრდილებში EBV პირველადი ინფიცირების შედეგად ვითარდება ინფექციური მონონუკლეოზის ტიპური, მწვავე ფორმა. მაღალ განვითარებულ ქვეყნებში კლინიკურად მანიფესტირებული ინფექციური მონონუკლეოზი მაღალი სიხშირით გვხვდება.

ავადობა უფრო ხშირია 14-16 წლის გოგონებსა და 16-18 წლის ვაჟებში. დაავადების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ვლინდება. იშვიათად ავადდებიან 40 წელზე ზემო ასაკის პირები, თუმცა იმუნოკომპონეტირებულებში EBV რეაქტივაცია შესაძლოა ნებისმიერ ასაკში მოხდეს.<sup>3,4</sup>


ინფექციის წყაროა ავადმყოფი ან ვირუსმტარებელი. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭებათ სუბკლინიკური ფორმით დაავადებულებს. ინფექციის გადაცემის გზებია: ჰაერ-წვეთოვანი, კონტაქტური, ალიმენტური, ტრანსფუზიული, სქესობრივი. იშვიათად - ვერტიკალური, ორგანოთა ტრანსპლანტაცია. EBV გადაცემის გზებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია კონტაქტური. ტერმინი „კოცნის დაავადება“ მიუთითებს ინფექციის გადაცემის ყველაზე ხშირ გზას. ეკონომიკურად განვითარებულ

ქვეყნის მთავრობა განსაკუთრებით მაღალია სქესობრივად აქტიურ სტუდენტებში.<sup>6</sup>

მწვავე ინფექციის დროს ვირუსი ნერწყვთან ერთად გამოიყოფა 16-18 ოვე,<sup>1,8</sup> პრაქტიკულად ჯანმრთელი, ლატენტურად ინფიცირებული პირების 20-30% მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოყოფს ვირუსს.<sup>7</sup>

საქართველოში ინფექციური მონონუკლეოზი ძირითადად სპორადული სახით გვხვდება. დაავადების შემთხვევების ზუსტი აღრიცხვა გერ ხერხდება, რადგან მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმები სხვადასხვა დიაგნოზით ბინაზე რჩებიან ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე (სურ. 2).

### 2000-2005 წლს საქართველოში რეგისტრირებული ინფექციური მონონუკლეოზის შემთხვევების ასაკობრივი სტრუქტურა



სურ. 2

საქართველოში კლინიკურად გამოვლენილი ინფექციური მონონუკლეოზის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 4-14 წლის ასაკის ჯგუფში გვხვდება. მეორე აღგილზეა 14 წლის ზემო ასაკის პირები. თუმცა 2003 წლიდან აღინიშნება ამ მაჩვენებლის დაქვეითების ტენდენცია 1-4 წლის ასაკის ავადმყოფთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე. 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში კლინიკურად მანიფესტირებული ინფექციური მონონუკლეოზი იშვიათად გვხვდება (დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი).

## პროგნოზი


- მწვავე ინფექციური მონონუკლეოზის გადატანის შემდეგ იმუნოკომპეტენტური პირები სრულად გამოჯანმრთელდებიან რამდენიმე თვის განმავლობაში, ნარჩენი მოვლენებისა და გართულებების გარეშე.<sup>7</sup>
- ჰემატოლოგიური ცვლილებებისა და ღვიძლისმიერი გართულებების უკუგანვითარება ხდება 2-3 თვეში.<sup>7</sup>
- გართულებების გამოვლენის შემთხვევაში ბავშვთა ასაკში ნევროლოგიური სინდრომი მოკლე დროში განიცდის უკუგანვითარდებას, მოზრდილებში კი - შედარებით ხანგრძლივად რჩება.<sup>7</sup>
- სხვა ჰერპესვირუსებით გამოწვეული ინფექციების მსგავსად, **EBV** ინფიცირებისას ყალიბდება ინფექციის ლატენტური ფორმა. გამოწვევი ჰერსისტირებს **B** ლიმფოციტებსა და ოროფარინგეულ ეპითელურ უჯრედებში. ლატენტურ ფორმას ახასიათებს ხანგრძლივი, უსიმპტომო მიმდინარეობა და იმუნოდეფიციტის შემთხვევაში რეაქტივაცია.<sup>7</sup>
- მწვავე ინფექციური მონონუკლეოზის შემთხვევაში ლეტალური გამოსავალი იშვიათია და განპირობებულია ზედა სასუნთქი გზების ობსტრუქციით, ელენთის გასკდომით, ნევროლოგიური გართულებებით, გრანულოციტოპენიით, აგრანულოციტოზით, თრომბოციტოპენიით, ღვიძლის უქმარისობითა და მიოკარდიტით.<sup>4</sup>

არაკეთილსამედო გამოსავლით ხასიათდება **EBV** ასოცირებული დავადებები და სინდრომები: ჰოჯკინის ლიმფომა, ტრანსპლანტაციის შემდგომი ლიმფოპროლიფერაციული დაავადებები, ნაზოფარინგეული კარცინომა, კუჭის ცარცინომა, დუნკანისა და ჰემოფაგოციტური სინდრომი.<sup>2,52</sup>

## 3. ეტიოლოგია, პათოგენეზი

ეპშტეინ-ბარის ვირუსი მიეკუთვნება ჰერპესვირუსების ოჯახსა და **Gammaherpsvirinae**-ს ქვეოჯახს. ვირიონის დიამეტრი 180-200 ნმ-ია. მის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია ორჯაჭვიანი დნმ (მოლეკულური მასით  $101+3X10^6$ ), რომელშიც კოდირებულია 80-მდე პროტეინი. დნმ-ის ირგვლივ მდებარეობს ჰექსაგონალური ფორმის კაფსიდი. დნმ და კაფსიდი ერთად ქმნის ნუკლეოკაფსიდს, რომელიც შედგება თანმიმდევრულად განლაგებული კაფსომერებისგან. გარედან ვირუსი დაფარულია ლიპოპროტეინული გარსით, რომლის ზედაპირზე, განლაგებულია გლიკოპროტეინების მოლეკულები<sup>11</sup> (სურ.3).<sup>11</sup>

## ეპიტენ-ბარის ვირუსის სტრუქტურა



კაფსიდი და ლიპოპოროტეინული გარსი: а) ვირიონს იცავს გარემოს არახელსაყრელი ფაქტორებისგან; ბ) განაპირობებს ვირიონის ადსორბციას ზოგიერთ უჯრედებზე; გ) განსაზღვრავს ვირიონის ანტიგენურ და იმუნოგენურ თვისებებს.<sup>11</sup>


ეპშტეინ – ბარის ვირუსს ახასიათებს არჩევითი ადსორბცია **B** ლიმფოციტებსა და პირის დრუს ეპითელურ უჯრედებზე.<sup>7,11</sup> **B** ლიმფოციტების ზედაპირზე არსებობს CD21 რეცეპტორები (სავარაუდოდ ასეთივე რეცეპტორები არის ოროფარინგეული ეპითელური უჯრედების ზედაპირზე), რომელსაც **EBV** უკავშირდება ვირიონის გარსის ზედაპირზე არსებული გლიკოპოროტეინ - gp 350/220-ის საშუალებით, ხდება უჯრედის მემბრანისა და ვირიონის გარსის შერწყმა(2), თავისუფლდება ნუკლეოკაფსიდი, რომელიც ვირუსულ დნმ-თან ერთად ტრანსპორტირდება უჯრედის ბირთვში. შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს ვირუსული გენომის ტრანსკრიფცია. წარმოიქმნება ინფორმაციული რნმ(4). იგი გადადის ციტოპლაზმაში, სადაც იწყება ვირუსის ცილების სინთეზი. ესენია:

ა - ცილები (I) - ახასიათებთ მარეგულირებელი აქტივობა.

ბ - ცილები (II) - ფერმენტები - დნმ-კოლომერაზა და თიმიდინკინაზა. მონაწილეობენ ვირუსის დნმ-ის რეპლიკაციაში.

გ - ცილები (III) - სტრუქტურული ცილები - ვირუსის კაფსიდი და გლიკოპოროტეინები. გლიკოპოროტეინები დიფუზურად განლაგდებიან უჯრედის ბირთვის გარსზე (5), წარმოიქმნება მოდიფიცირებული მემბრანა, რომლიდანაც შემდეგ ეტაპზე ყალიბდება ვირიონის ლიპოპოროტეინული გარსი. პარალელურად წარმოიქმნება კაფსიდი, მის ცენტრში თავსდება ვირუსის დნმ (6,7), კაფსიდის გარშემო კი - მოდიფიცირებული მემბრანა (8). საბოლოოდ ყალიბდება ვირიონი. იგი გოლჯის აპარატის საშუალებით გადადის ციტოპლაზმაში და მასპინძელ უჯრედს ტოვებს ეგზოციტოზის (9) ან უჯრედის ლიზისის (10) გზით<sup>11</sup> (სურ. 4)<sup>11</sup>

## 30 გვერდის რეპროდუქციის ციკლი



სურ. 4

**EBV** ცხოველმყოფელობის პერიოდში ახდენს მთელი რიგი ანტიგენებისა და პროტეინების ექსპრესიას. ესენია: ვირუსის კაფსიდის ანტიგენი (VCA), ადრეული (EA) (თავის მხრივ იგი არ სებობს ორი სახის - დიფუზური (D) და ციტოპლაზმური (R)), ნუკლეარული (ბირთვის) ანტიგენები (EBNA) 1,2,3A, 3B, 3C,

**EBV-ში** კოდირებული რნმ-I – EBER1 და EBER2, მემბრანული პროტეინები (LP) და ლატენტური მემბრანული პროტეინები (LMP)1,2A და 2B.<sup>4,7,11</sup>

### პათოგენეზი:

ეპიტელიუმი - ბარის ვირუსი ორგანიზმში შეიჭრება ოროფარინგეული გზით. საწყის ეტაპზე ვირუსი რეპლიკაციას განიცდის ეპითელურ უჯრედებში. წარმოქმნილი ვირიონი მასპინძელ უჯრედს ტოვებს ეგზოციტოზის ან უჯრედის ლიზისის გზით და ვრცელდება სანერჩუვე ჯირკვლებსა და ოროფარინგეულ ლიმფოიდურ ქსოვილში, ვითარდება ლიმფადენპათია. შემდეგ ლიმფურ-ჰემატოგენური გზით ხდება ინფექციის გენერალიზაცია - ვირუსებია, რაც განაპირობებს ლიმფოიდრეტიკულური ქსოვილის ინფიცირებას (პერიფერიული სისხლის B ლიმფოციტები, ელენთა, ღვიძლი, იშვიათად T ლიმფოციტები).<sup>1,7</sup> გარდა ამისა, მოცირკულირე B უჯრედების ინფიცირება შესაძლებელია მოხდეს მათი კონტაქტისას ოროფარინგეულ ეპითელურ ქსოვილთან. ვირუსი ახდენს B ლიმფოციტების ტრანსფორმაციას, რის შედეგად ისინი იძენენ პოლიკლონური პროლიფერაციის უნარს.

**EBV** ინფიცირების საპასუხოდ აქტიურდება ორგანიზმის უჯრედული იმუნიტეტი. ინფიცირებული უჯრედების განადგურება ხდება CD8+ ლიმფოციტებით (T-კიტოკარინული) და ნატურალური კილერებით (NK-უჯრედები). B ლიმფოციტების პოლიკლონური პროლიფერაციის დათრგუნვა კი ხდება T სუპრესორებით. ეპიტეინ-

ბარის ინფექციის დროს ანტისეულებს უმნიშვნელო დამცველობითი როლი აკისრიათ. ძირითადი პასუხი ხორციელდება უჯრედული იმუნიტეტის საშუალებით. სწორედ ამიტომ პირები, რომელთაც აქვთ უჯრედული იმუნიტეტის თანდაყოლილი ან შეძენილი დეფექტი, უვითარდებათ მძიმე ინფექციური მონონუკლეოზი, ხშირად ლეტალური გამოსავლით.<sup>4,6,12,13</sup>

ვირუსული ინფექციის საპასუხოდ ხდება ჰუმორული იმუნური პასუხის აქტივაციაც. წარმოიქმნება ჰეტეროფილური და **EBV** ანტიგენების საწინააღმდეგო სპეციფიკური ანტისეულები. ინფიცირებული **B** ლიმფოციტები წარმოქმნიან ჰეტეროფილურ ანტისეულებს, რომელთაც შეუძლიათ მოახდინონ სხვა სახეობის ორგანიზმითა (მაგ: ცხვრის, ცხენის, ხარის და ა.შ.) უჯრედების (ერითროციტების) აგლუტინაცია. აღნიშნულ რეაქციაზეა დაფუძნებული ჰაულ-ბუნელის ტესტი. ჰეტეროფილური ანტისეულები მიეკუთვნება იმუნოგლობულინების **M** კლასს. მათი როლი დაავადების პათოგენეზსა და გამოჯანმრთელებაში ბოლომდე გარკვეული არ არის. არ არსებობს კორელაცია დაავადების სიმძიმესა და ჰეტეროფილური ანტისეულების ტიტრს შორის.<sup>7,13</sup>

სპეციფიკურ ანტისეულებს მიეკუთვნება კაფსიდის (ანტი-VCA), ადრეული (ანტი-EA) და ბირთვის (ანტი-EBNA) ანტიგენების, ასევე მემბრანული პროტეინების საწინააღმდეგო ანტისეულები.<sup>16,17</sup> გარდა ამისა, პირველადი **EBV** ინფექციის დროს აღმოჩენილია ანტისეულები, რომლებიც ბოჭავებ თრომბოციტებს, ნეიტროფილებს, ლიმფოციტებსა და ამპიცილინს. ისინი პასუხისმგებელნი არიან **EBV** ინფექციის დროს განვითარებულ აუტოიმუნურ პროცესებზე.<sup>8</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ეპშტეინ-ბარის ვირუსი ხასიათდება ორგანიზმი პერსისტენციით. ლატენტური ინფექციის დროს ვირუსის დნმ არსებობს ლიმფოციტებისა და ეპითელური უჯრედების ბირთვში ეპისომის სახით. ეპისომა იშვიათად ინტეგრირდება უჯრედის გენომში, თუმცა უჯრედის გაყოფასთან ერთად ხდება ვირუსის დნმ-ის რეპლიკაცია და უჯრედთა ახალ თაობაზე მისი გადაცემა.<sup>7</sup>

ლატენტური ინფექციის დროს ხდება სხვადასხვა პროტეინების ექსპრესია. არსებობს 3 ტიპის ლატენცია:<sup>2,4,7</sup>

I - ასოცირებული ბერკიტის ლიმფომასთან, ექსპრესირდება EBER და EBNA1.

II - ასოცირებული ნაზოფარინგეულ კარცინომასთან და ინფექციურ მონონუკლეოზთან - LMP1, LMP2A და LMP2B, EBER, EBNA.

III - ჯანმრთელი ლატენტურად ინფიცირებული პირები: EBER, EBNA, LMP1, LMP2A და LMP2B.

ინფექციური მონონუკლეოზის პათოგენეზი საკმაოდ რთულია და თანამედროვე ეტაპზეც მიმდინარეობს მისი სრულყოფა.

#### 4. პლინიკური სიმპტომები

კლინიკური ნიშნების მიხედვით არჩევენ ტიპურ, ატიპურ და სუბკლინიკურ ფორმებს.

დაავადების ინგუბაციური პერიოდი მერყეობს 4-დან 18-დღემდე, იშვიათად 8 კვირამდე. ინგუბაციური პერიოდი ბავშვებში უფრო ხანმოკლეა, ვიდრე მოზრდილებში.

დაავადების ტიპური ფორმა იწყება მწვავედ, ერთბაშად, ან პროდრომული ნიშნებით, როგორიცაა შემცივნება, ოფლიანობა, მოუსვენრობა, თავის ტკივილი, მიალგია, უხალისობა, უმადობა. პროდრომული ნიშნები შესაძლოა 1-2 კვირა გაგრძელდეს, შემდეგ კი გლინდება ინფექციური მონონუკლეოზის დამახასიათებელი ტრიადა: ცხელება, ყელის ტკივილი და ლიმფური კვანძების გადიდება.<sup>4,18</sup>

ცხელება პაციენტთა 90%-ს აღენიშნება. ტემპერატურის პიკია საღამოს საათებში და აღწევს  $38-39^{\circ}\text{C}$ -ს. ცხელება გრძელდება 10-14 დღე. თუმცა შესაძლოა იყოს სუბფებრილური და 1 თვემდეც გახანგრძლივდეს. ინფექციური მონონუკლეოზის დროს ტემპერატურული მრუდი რაიმე სპეციფიკურობით არ ხასიათდება.<sup>4</sup>

დაავადების ერთ-ერთი პათოგნომური ნიშანია ტონზილიტი, იგი შესაძლებელია იყოს კატარული, ლაკუნური, ფოლიკულური და წყლულოვან-ნეკროზული, ვლინდება დაავადების დასაწყისშივე, ან ოდნავ მოგვიანებით დაავადების სხვა ნიშნების გამოვლინებისა და ცხელების შემდეგ ( მე-5-7დღე) (სურ. 5)



სურ. 5

ლაკუნურ-ფოლიკულური  
ტონზილიტი

ზოგჯერ ანთება იმდენად ინტენსიურია, რომ ნუშურები ერთმანეთს ეხება. ცხვირ-ხახის ნუშურების ჰიპერპლაზიასთანაა დაკავშირებული ცხვირიდან სუნთქვის გაძნელება, სტრიდორი, პირდია ხმაურიანი სუნთქვა, ცხვირის ტემპერით ლაპარაკი.<sup>18</sup> ადნიშნული სიმპტომი უპირატესად 1-7 წლამდე ასაკის ბავშვებს აღენიშნებათ და აქვს სადიაგნოზო ლირებულება. იგი განპირობებულია სასუნთქი გზების, კერძოდ ცხვირ-ხახის ლორწოვანის ანთებადი შეშუპებით. მოზრდილებში ეს სიმპტომი უფრო ნაკლები ინტენსივობით ვლინდება.

მნიშვნელოვანია, რომ მონონუკლეოზურ ტონზილიტთან ერთად შეიძლება განვითარდეს სტრეპტოკოკული ეტიოლოგიის ფარინგიტი.

ინფექციური მონონუკლეოზის დროს ხახის უგანა კედელი მარცვლოვანი, გაფხვიერებული, შეშუპებული და ჰიპერემიულია (სურ. 6). სასის რკალებზე, ნაქვე,


ნუშურებზე აღინიშნება ნადები, რომელიც მოთეთრო-მოყვითალოა ან მონაცრისფრო, ფხვიერია, ადგილად სცილდება ლორწოვანს და არ იწვევს სისხლდენას. ინფექციური მონონუკლეოზის დროს ტონზილიტის ხანგრძლივობა უმეტეს შემთხვევაში ტემპერატურული რეაქციის ხანგრძლივობას ემთხვევა.<sup>1,4,18</sup>



სურ. 6

ხახის უკანა კედელი ინფექციური მონონუკლეოზის დროს

პოლილიმფადენოპათია ინფექციური მონონუკლეოზის მუდმივი კლინიკური ნიშანია. ყველაზე ხშირი და ტიპურია მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის გასწვრივ ლიმფური კვანძების გადიდება, რომლებიც ძეწვის მსგავსად არიან განლაგებული (სურ 7). კვანძები მოძრავია, უმტკივნეულო, პალპაციისას ოდნავ მგრძნობიარე. პერილიმფური შეშუპება იშვიათია. გადიდებული ლიმფური კვანძები არ ჩირქდება. მათი მოცულობაში შემცირება იწყება ტემპერატურის დაცემიდან (მე-10-15 დღე), მაგრამ შემცირებული სახით შეიძლება დარჩეს თვეების მანძილზე.<sup>4,8,18</sup>



სურ.7  
ლიმფადენოპათია

ინფექციური მონონუკლეოზის დროს დვიძლი გადიდებულია. შემთხვევათა 90%-ში ხდება ამინოტრანსფერაზების საშუალოდ 5-ჯერ მატება,<sup>59</sup> ბილირუბინის დონე კი მომატებულია ავადმყოფთა 5%-ში, რაც განპირობებულია, როგორც დვიძლშიდა ქოლესტაზით, ასევე ჰემოლიზური ანემით. იშვიათად ვითარდება ფულმინანტური

ჰეპატიტი და ლვიძლის უკმარისობა. ლვიძლის დაზიანება გამოწვეულია აქტივორებული T ლიმფოციტების მიერ გათავისუფლებული ციტოკინებით. ხდება T ლიმფოციტებით ლვიძლის ინფილტრაცია. აღწერილია EBV მიერ უშუალოდ T ლიმფოციტების დაინფიცირებაც.<sup>61</sup> ამ უჯრედების უკონტროლო გავრცელება პასუხისმგებელია მძიმე EBV ჰეპატიტის განვითარებაზე.<sup>62</sup> ინფიცირებული T უჯრედები ახდენენ ვირუსის ანტიგენების მცირე რაოდენობის ექსპრესიას, რაც საშუალებას აძლევს მათ უფრო ადვილად დააღწიონ თავი იმუნურ ზედამხედველობას.

არსებობს დისოციაცია ინფექციური მონონუკლეოზის დროს ლვიძლის დაზიანების ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ ნიშნებს შორის. არის შემთხვევები, რომლის დროსაც მკვეთრად გამოხატული სიუვითლისა და ჰიპერბილირუბინემიის ფონზე ლვიძლის ჰისტოლოგიური დაზიანება უმნიშვნელოა და პირიქით, ლვიძლის მკვეთრად გამოხატული მორფოლოგიური დაზიანების ფონზე აღინიშნება უმნიშვნელოდ გამოვლენილი კლინიკური ნიშნებისა და ბიოქიმიური მაჩვენებლების დარღვევა.<sup>21</sup>

ელენთის გადიდება წარმოადგენს ინფექციური მონონუკლეოზის ერთ-ერთ კარდინალურ ნიშანს. იგი გამოვლინდება დაავადების მე-2-3 დღიდან. იშვიათად, სპლენომეგალია შეიძლება მძიმე გართულებით – გახეთქვით – დამთავრდეს. ელენთის ზომა ნორმას უბრუნდება მე-3-4 კვირიდან.<sup>1,18</sup>

გამონაყარი ავადმყოფთა 5%-ს აღენიშნება. იგი შესაძლოა იყოს მაკულური, პაპულური, ჰეტერული, ქუნორუშისებრი, მულტიფორმული ერთოება, ურტიკარია და როგორც წესი ტანსა და კიდურებზე გვხვდება<sup>1,3,4</sup> (სურ. 8) ავადმყოფთა უმრავლესობას, რომლებიც დებულობდნენ ამპიცილინს აღენიშნებათ კაშკაშა წითელი ფერის მედიკამენტური გამონაყარი – ე.წ. “მაკულო-პაპულური აფეთქება”. 90–100%-ში იგი ვლინდება ამპიცილინით მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ (თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაავადებულს აუცილებლად ექნება ასეთი რექაცია პენიცილინის ჯგუფის პრეპარატებზე).<sup>22,23</sup>



სურ. 8 გამონაყარი

ლაბორატორიული მაჩვენებლებიდან დამახასიათებელია: პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტოზი ( $10-20 \times 10^9/\text{ლ}$ ). დაავადების პირველ-მეორე დღეს შესაძლოა იშვიათად გამოხატული იყოს ლეიკოპენია, ლეიკოციტოზი კი - გამოვლინდეს მე 5-ხდიდან. ლიმფოციტების საშუალო მაჩვენებელი 60%-მდეა, ხოლო მონოციტებისა - 18-20%-მდე. ასევე გამოვლინდება ატიპური მონონუკლეარები (12-20%) და პლაზმური უჯრედები (8-12%).<sup>1</sup> ატიპიური მონონუკლეარები მორფოლოგიურად მრგვალი ან ოვალური ფორმის ანტიგენით აქტივირებული T (CD8) უჯრედებია. მათი პროტოპლაზმა ვაკუოლიზებულია და დიდი ზომის ბირთვს გარს აკრაცს სარტყელივით, პერიფერიაზე კი გამოხატულია ბაზოფილია. ატიპურმა

მონონუკლეარებმა სტრუქტურის ცვლილების გამო მიიღეს “ფართოპლაზმური მონოციტების” და “მონოლიმფოციტების” სახელწოდება. აღნიშნული ცვლილება შესაძლოა 3-6 თვე და წლების განმავლობაშიც კი შენარჩუნდეს. დაავადების პირველ თვეს შეიძლება იყოს ნეიტროპენია და თრომბოციტოპენია. ედს აჩქარებულია. შეცვლილია ლვილის ბიოქიმიური მაჩვენებლები. სისხლის შრაგში მომატებულია ამინოტრანსფერაზებისა და ტუტე-ფოსფატაზის აქტივობა. შედარებით იშვიათად მატულობს ბილირუბინის დონე.<sup>2</sup>

## მსუბუქი ფორმა

ავადმყოფის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, სუბიექტური ჩივილები არ აქვს. აღინიშნება უმნიშვნელო ინტოქსიკაცია. დამახასიათებელია შემდეგი კლინიკური ნიშნები: ცხვირიდან გაძნელებული სუნთქვა, ტონზილიტი, ლიმფური კვანძების გადიდება. აღნიშნული სიმპტომები გამოხატულია ზომიერად. პერიფერიული სისხლის სურათი უმნიშვნელოდაა შეცვლილი. ტემპერატურა 37,5-38<sup>0</sup>-ის ფარგლებშია. დაავადება დაახლოებით ერთ კვირაში მთავრდება. აღინიშნება კლინიკური ნიშნების სწრაფი ალაგება.<sup>18,21</sup>

## საშუალო სიმძიმის ფორმა

ავადმყოფს აქვს შემდეგი ჩივილები: ცხვირიდან სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე, უმაღობა, ზოგჯერ ტკივილი მუცელის არეში, იშვიათია ლებინება და გულისრევა. ინტოქსიკაცია ზომიერად არის გამოხატული. ტემპერატურა - 38-39<sup>0</sup>-ია. ცვლილებები პერიფერიული სისხლის მხრივ მკვეთრად არ არის გამოხატული. ავადმყოფის მთავრდება დაახლოებით 10 დღეში. კლინიკური ნიშნების ალაგება ხდება შედარებით ნელა.<sup>18,21</sup>

## ძიმე ფორმა

კლინიკური ნიშნები მკვეთრადაა გამოხატული, აღინიშნება ძლიერი ინტოქსიკაცია. ელენთა მნიშვნელოვნად არის გადიდებული. გამოხატულია ჰეპატომეგალია. ხშირად ვითარდება ამ დაავადების მძიმე გართულებები. ტემპერატურა 39,5 - 40<sup>0</sup>C-ია. დაავადება ხანგრძლივდება (15 დღე - 1 თვე და მეტი).<sup>18,21</sup>

## ინფექციური მონონუკლეოზის ატიპური ფორმა<sup>18</sup>

აღინიშნება ერთი ან ორი არამკვეთრად გამოხატული კლინიკური სიმპტომი (მაგ: მხოლოდ ელენთის გადიდება და ტემპერატურის მომატება ან ტონზილიტი და ყბისქვეშა ლიმფური კვანძების გადიდება და ა.შ.)

ვლინდება ინფექციური მონონუკლეოზისთვის არაპათოგნომური სიმპტომები (მენინგიცეფალიტი, პერიკარდიტი და სხვ). ასეთ შემთხვევაში დიაგნოზი დასტურდება პერიფერიული სისხლის ანალიზით და იმუნოლოგიური რეაქციებით.

## ინფექციური მონონუკლეოზის სუბკლინიკური ფორმა:<sup>18</sup>

ინფექციური მონონუკლეოზისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები არ არის გამოხატული. დიაგნოზის დადასტურება ხდება სეროლოგიური რეაქციებით.<sup>18</sup>

## **ინფექციური მონოუკლეოზის ქრონიკული ფორმა:**

EBV პირველადი ინფიცირების შემთხვევაში განვითარებული კლინიკური ნიშნები იშვიათად გრძელდება 4 თვე. დაავადების 6 თვეზე მეტ ხანს გახანგრძლივების შემთხვევაში ყალიბდება მონოუკლეოზის ქრონიკული ფორმა.<sup>5</sup> მისთვის დამახასიათებელია ასთენოვეგეტატიური სინდრომი<sup>65</sup> (უძლურება, დაღლილობა, დეპრესია<sup>57</sup>), გახანგრძლივებული სუბფებრილური ტემპერატურა, პერიოდული მატებით, მორეციდივე ფარინგიტი, ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა არეში, მეტეორიზმი, ანორექსია, ართრალგია, მიალგია. ობიექტური მონაცემებიდან გამოხატულია - პოლილიმფადენოპათია, ჰეპატოსპლენომეგალია. ცვლილებებია სისხლის შრატის ცილოვან ფრაქციებსა და ღვიძლის ფუნქციურ სინჯებში. პერიფერიულ სისხლში მატულობს ატიპური მონოუკლეარებისა და ჰეტეროფილური ანგისხეულების რაოდენობა. სეროლოგიურად ვლინდება ადრეული და ნუკლეარული ანტიგენების IgG (ანტი-EA-IgG, ანტი-EBNA-IgG).<sup>65,24</sup>

ზემოაღნიშნული კლინიკური ნიშნები შეიძლება რამდენიმე წლის (3-5 წელი) განმავლობაში გახანგრძლივდეს, პერიოდული რეაქტივაციით.

ინფექციური მონოუკლეოზის ქრონიკული ფორმის დიაგნოზი ეყრდნობა შემდეგ სამ ძირითად კრიტერიუმს:<sup>3</sup>

1. გადატანილი მძიმე დაავადება (დაახლოებით 6 თვის წინ), რომელიც ლაბორატორიულად დადასტურებული იყო, როგორც მწვავე ინფექციური მონოუკლეოზი. ან აღმოჩენილი იყო EBV კაფსიდის ანტიგენის საწინააღმდეგო ანგისხეულების მაღალი ტიტრი, ან ადრეული ანტიგენის საწინააღმდეგო ანგისხეულები.
2. მთელ რიგ ორგანოებში დაავადების ჰისტომორფოლოგიური ცვლილებების დადგენა:
  - ა) ინტერსტიციული პნევმონია.
  - ბ) ძვლის ტვინის ელემენტის ჰიპოპლაზია.
  - გ) უვეიტი.
  - დ) ლიმფადენოპათია.
  - ე) პერსისტული ჰეპატიტი.
  - ვ) სპლენომეგალია.
3. დაზიანებულ ქსოვილებში EBV ბირთვის ანტიგენის აღმოჩენა ანტიკამპლემენტური იმუნოფლუორესცენციის მეთოდით.

ქრონიკული EBV ინფექცია შესაძლოა მიმდინარეობდეს ქრონიკული ჰეპატიტის სახით, რომლის დიაგნოზი ეყრდნობა 4 ძირითად პარამეტრს:<sup>19</sup>

1. ღვიძლის ენზიმების - ალანინამინოტრანსფერაზასა და ასპარტამინოტრანსფერაზას დონის მატებას.
2. სისხლში EBV სეროლოგიური მარკერების განსაზღვრას.
3. ღვიძლის ბიოპტატში დამახასიათებელ ჰისტომორფოლოგიურ ცვლილებებს.
4. პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციით (პჯრ) და ჰიბრიდიზაციის გზით ვირუსული გენომის აღმოჩენას ღვიძლის ბიოპტატში.

ქრონიკული EBV ჰეპატიტის დროს ღვიძლის ბიოპტატში დამახასიათებელი ჰისტომორფოლოგიური სურათია, რაც ლიმფოპლაზმოციტური ელემენტების ინფილტრაციაში, ატიპური ბლასტური უჯრედების არსებობაში, კუპფერის

უჯრედების გააქტივებასა და ჰეპატოციტების მაღალ რეგენერაციულ აქტივობაში გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ ვირუსი აინფიცირებს ლიმფოციტებს (ძირითადად CD8+ T უჯრედებს) და არა ჰეპატოციტებს.<sup>19,61</sup>

მონონუკლეოზურ ჰეპატიტს უპირატესად ახასიათებს ლვიძლის დაზიანების ინფილტრაციული და პროლიფერაციული, იშვიათად ნეკროზული ვარიანტი.<sup>18,21</sup>

როგორც აღვნიშნეთ, EBV მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული. მოსახლეობის 90-95% ლატენტურად არის ინფიცირებული, თუმცა ვირუსის კლინიკურად გამოხატული რეაქტივაცია იშვიათად ხდება. EBV პირველადი ინფიცირების ასაკი, ინდივიდის იმუნური სტატუსი, გენეტიკური, სოციალური და გეოგრაფიული ფაქტორები განსაზღვრავს დაავადების მიმდინარეობის კლინიკურ ფორმას.<sup>9</sup>

გარდა კეთილთვისებიანი ინფექციური მონონუკლეოზისა, EBV იწვევს ეპითელური და ლიმფოიდური ქსოვილების მაღიგნიზაციით მიმდინარე დაავადებებს. ვირუსი ასოცირებულია მთელ რიგ ლიმფომებთან: პოზკინის ლიმფომა (25-50%-ში, აივ ინფიცირებულებში 100%-ში),<sup>6</sup> ბერკიტის ლიმფომა, ცენტრალური ნერვული სისტემის ლიმფომა, ტრანსპლანტაციის შემდგომ განვითარებული ლიმფოპროლიფერაციული დარღვევები, X ქრომოსომასთან შეჭიდული ლიმფოპროლიფერაციული დაავადება (დუნკანის სინდრომი).<sup>25,26</sup>

ეპზეინ-ბარის ვირუსი ასოცირებულია: ნაზოფარინგეულ კარცინომასთან, პირის ღრუს თმოვან ლეიკოპლაკიასთან, კუჭის კარცინომასთან, ჰემოფაგოციტურ სინდრომთან.

**ბერკიტის ლიმფომა** (ენდემური, აფრიკული ბერკიტის ლიმფომა, B უჯრედული ლიმფომა) - ფართოდ არის გავრცელებული აფრიკის მოსახლეობაში, განსაკუთრებით მაღარიის ენდემურ ზონებში. სიმსიგნის განვითარებაში მნიშვნელოვანია გენეტიკური და გარემო ფაქტორების როლი. ძირითადად ავადდებიან 5-7 წლის ბავშვები. ადრეულ ასაკში EBV ინფიცირება განაპირობებს დიდი რაოდენობით B ლიმფოციტების პროდუქციას. მაღარიის გამომწვევთან კონტაქტი უფრო მეტად ზრდის B უჯრედების პოლიკლონურ პროლიფერაციას, რადგან აღნიშნულ ინფექციას ახასიათებს მიტოგენური აქტივობა და EBV-სპეციფიკური T უჯრედული იმუნიტეტის დათრგუნვა. B უჯრედების ინტენსიური პროდუქცია ზრდის ქრომოსომული ტრანსლოკაციების ალბათობას, შედეგად ვითარდება ონკოგენური აქტივობა და ყალიბდება ბერკიტის ლიმფომა.<sup>28</sup>

დაავადების საწყის ეტაპზე ხდება ლიმფური კვანძების გადიდება კისრის და ქვედა ყბის მიდამოში. კვანძები უმტკივნეულოა, მკვრივი კონსისტენციისა და ახასიათებს სწრაფი ზრდა. დაავადების პროგრესირებისას პროცესში ერთვება სხვა ორგანოებიც: საკვერცხეები, სათესლე ჯირკვლები, სანერტუვე, ფარისებრი, სარძევა ჯირკვლები, თირკმელები, ცნს, ძვლის ტვინი.<sup>27</sup> სიმსიგნური ქსოვილის აბდომინური ლოკალიზაციისას ზიანდება ელენთა, მეზენტერიული ლიმფური კვანძები, ლვიძლი, კუჭ-ნაწლავი.<sup>28</sup>


ბერკიტის ლიმფომის დროს განვითარებული სიმსიგნური ქსოვილი ყველაზე ხშირად აზიანებს თავის ქალას სახის ნაწილს - ზედა და ქვედა ყბას, თვალბუდესა და რბილ ქსოვილებს<sup>28</sup> (სურ. 9)



სურ. 9  
ბერკიტის ლიმფომა

დაავადებისთვის დამახასიათებელია წონაში სწრაფად კლება (თვეში 10-15-20 კგ) კახექსიამდე, გამოხატული ოფლიანობა, ფებრილური ცხელება.<sup>28</sup> სიმსივნური ქსოვილი სწრაფად იზრდება, თუმცა აგრესიული ქიმიოთერაპიის ფონზე პროგნოზი შედარებით კეთილსამძღვანელოა.

**პოზიტის ლიმფომა** (ლიმფოგრანულომატოზი) - გვხვდება მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ადრეული ასაკის ბავშვებში. პოზიტის ლიმფომათა 25-50%-ში სიმსივნურ ქსოვილებში აღმოჩნდებია EBV დნმ და მისი გენების პროდუქტები (LMP1, LMP2, EBNA1)<sup>42</sup>. პისტომორფოლოგიურად სიმსივნურ ქსოვილებში არსებობს ვირუსით ინფიცირებული პოზიტ-რიდ-შტერნბერგის (HRS) უჯრედები. ისინი შეცვლილი B ლიმფოციტებია, შეიცავენ ერთ ან რამდენიმე ბირთვს. მათ ზედაპირზე მუდმივად ექსპრესირდება CD15, CD30 და CD40, თუმცა HRS უჯრედებში EBV-ის რეპლიკაციის პროცესში ჩართულია მცირე რაოდენობით პროტეინები. ესენია: LMP1, LMP2, EBNA1. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ფენოტიპის უჯრედების ზედაპირზე არ ხდება იმუნოგლობულინების ექსპრესია<sup>32</sup> (სურ. 10)<sup>31</sup>



სურ. 10

მარცხნა სურათზე იღუსტრირებულია HRS უჯრედები, ხოლო მარჯვენაზე - EBV-ით ინფიცირებული B ლიმფოციტის ნორმალური ფენოტიპი. ამ უჯრედში სინთეზდება ვირუსის მრავალი ცილა, ხოლო ზედაპირზე ექსპრესირდება CD20 და იმუნოგლობულინები

პოჯკინის ლიმფომის კლინიკური სურათი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ცელება, ღამის პროფუნდული ოფლიანობა, სხეულის მასის კლება, კანის ქავილი. დაავადება მიმდინარეობს 4 სტადიად:<sup>29</sup>

**I სტადია** - ზიანდება ლიმფური კვანძების ერთი ჯგუფი ან ლიმფური კვანძის ახლოს მდებარე ერთი ორგანო.

**II სტადია** - ზიანდება ლიმფური კვანძების ორი ან რამდენიმე ჯგუფი დიაფრაგმის ცალ მხარეს ან ლიმფური კვანძის ახლოს მდებარე ერთი ორგანო და რამდენიმე ლიმფური კვანძი.

**III სტადია** - ზიანდება ლიმფური კვანძები დიაფრაგმის ორივე მხარეს, რასაც შესაძლებელია თან ახლდეს პროცესში ლიმფური კვანძის ახლოს მდებარე ერთი ორგანოს ან ელენთის დაზიანება.

**IV სტადია** - ხდება სიმსივნური ქსოვილის დისემინირება.

პოჯკინის ლიმფომა ხასიათდება მძიმე მიმდინარეობით, თუმცა დაავადების ადრეულ სტადიებზე, ზოგჯერ მოგვიანებითაც, შესაძლებელია მისი განკურნება.

**ქრომოსომასთან შეჯიდული ლიმფოპროლიფერაციული დაავადება (დუნკანის სინდრომი. *Syndrom Dunkane*)** - დუნკანის სინდრომის ახასიათებს იმუნოდეფიციტური მდგომარეობა (უჯრედული იმუნიტეტის თანდაყოლილი დეფექტი) მაღალი ლეგებალობით. ამ სინდრომის მქონე პაციენტების EBV ინფიცირება განაპირობებს ინფექციური მონონუკლეოზის მძიმე, ფულმინანტურ მიმდინარეობას (60%-ში). ავადმყოფები იღუპებიან დაავადების გამოვლენიდან 1-12 თვის განმავლობაში, რაც გამოწვეულია სპეციფიკური T ციტოტოქსიკური ლიმფოციტების დეფიციტით. აგადმყოფთა ნაწილს უკითარდება ჰიპოგამაგლობულინემია, აპლასტური ანემია, ავთვიასებიანი ლიმფომა. აღნიშნული დარღვევების განვითარების სიხშირე განსაკუთრებით მაღალია 3-7 წლის ასაკის ვაჟებში.<sup>37,38</sup>

**ნაზოფარინგეული კარცინომა** - გავრცელებულია ჩინეთის სამხრეთ რეგიონებში. სიმსივნის განვითარების ხელშემწყობი პირობებია გეოგრაფიული მდებარეობა, გარემო ფაქტორები (განსაკუთრებით კანცეროგენული გარემო) და გენეტიკური განწყობა. ნაზოფარინგეული კარცინომის ქსოვილებში აღმოჩენილია EBV გენომი, ხოლო ავადმყოფის სისხლში - EBV სპეციფიკური ანტისხეულები, განსაკუთრებით მაღალია ანტი - VCA IgA. დაავადებული ნაზოფარინგეულ სეკრეტოან ერთად გამოყოფს გაცილებით მეტ ვირუსს, ვიდრე ჯანმრთელი სეროპოზიტივრი პირები.<sup>4,35</sup>

სიმსივნის ზრდა იწყება ცხვირ-ხახის ეპითელიუმიდან. ასეთი ლოკალიზაციის გამო სიმსივნური ქსოვილი შეუმჩნეველი რჩება და დაავადების პირველი კლინიკური გამოვლენა შესაძლებელია იყოს კისრის გადიდებული მეტასტაზური კვანძი. ნაზოფარინგეულ კარცინომას კლინიკურად ახასიათებს: ცხვირიდან სისხლდენა (ეპისტაქსისი), ცხვირ-ხახის ობსტრუქცია, შუა ყურის ანთება, სმენის დაკარგვა. თავის ტვინთან სიმსივნის ახლოს ლოკალოზაციის გამო ხშირია ნევროლოგიური სიმპტომების განვითარება: დიპლოპია, ფტოზი, სახის ნერვის დაზიანება და სხვ.<sup>35</sup>

დაავადების პროგნოზი მძიმეა და დამოკიდებულია სიმსივნის ზომაზე, ლოკალიზაციასა და გავცელებაზე.

**ტრანსპლანტაციის შემდგომი ლიმფოპროლიფერაციული დაავადებები (PTLD) -** ტრანსპლანტაციის შემდგომი დარღვევები დაკავშირებულია ზოგჯერ EBV ასოცირებულია. პაციენტების უმრავლესობის სისხლში მაღალია ინფიცირებული B ლიმფოციტების დონე. ვირუსის ინტენსიური რეპლიკაცია კავშირშია იმუნოსუპრესიული თერაპიის ფონზე განვითარებულ ციტოტოქსიკური T ლიმფოციტების დეფიციტთან. PTLD-ის სისხლე, მაგალითად თირკმლის ტრანსპლანტაციის რეციპიენტებში 1-2%-ია, ხოლო გულ-ფილტვის რეციპიენტებში - 5.9%; ლიმფოპროლიფერაცია ვითარდება ტრანსპლანტაციიდან 1 წლის განმავლობაში. PTLD-ის დროს პროცესში ერთვება ლიმფური კვანძები, დვიძლი, ფილტვები, თირკმელები, ძვლის ტვინი, წვრილი ნაწლავი, ელენთა, ცნს, ტონზილები, სანერწყვე ჯირკვლები. დაავადების კლინიკური სურათი ვარიაბელურია. ვითარდება ცხელება, ლიმფადენოპათია, გასტრონერეტინური სიმპტომები, ფულმინანტური ინფექციური მონონუკლეოზის მსგავსი სინდრომი, ნევროლოგიური სიმპტომები, წონის კლება.<sup>40</sup> განსაკუთრებით მძიმეა და პროგნოზულად არაკეთილსაიმდობა ცნს-ის დაზიანება, რომელიც 88%-შემთხვევაში იწვევს ლეტალობას.<sup>52</sup>

**პირის დრუს თმოვანი ლეიკოპლაკია (Hairy Leukoplakia) -** წარმოადგენს EBV ინდუცირებულ ეპითელური ქსოვილის პიპერპლაზიას, რომელიც ლოკალიზება ძირითადად ენის ლატერალურ კიდეებზე, თუმცა შესაძლოა გავრცელდეს ლოკალურად. თმოვანი ლეიკოპლაკია ასიმპტომურად ვითარდება და პაციენტების უმრავლესობისთვის შეუმნეველი რჩება. დაავადებულს ენისა და ლოკის ლოკალურანზე უკითარდება მოთეთრო გოფრირებული ლაქები (სურ. 11), რომელშიც შესაძლებელია EBV დნმ აღმოჩენა. თმიანი ლეიკოპლაკია აიგ ინფიცირების ერთ-ერთი ადრეული ნიშანია.<sup>4,8</sup>



სურ. 11  
პირის დრუს თმოვანი  
ლეიკოპლაკია

**EBV ასოცირებული ჰემოფაგოციტური სინდრომი (VAHS) -** სინდრომი პირველად აღწერილია 1985 წელს. მას ახასიათებს მაკროფაგებისა და დენდრიტული უჯრედების მიერ ერითროციტების ფაგოციტოზი. კლინიკურად ვლინდება ცხელება, საერთო სისუსტე, მიაღვით, გენერალიზებული ლიმფადენოპათია, ჰეპატოსპლენომეგალია. ლაბორატორიულად - ჰერიფერიულ სისხლში აღინიშნება პანციტოპენია, კოაგულაციის დარღვევა. VAHS -ის მქონე პაციენტებს ადვილად უკითარდებათ ოპორტუნისტული ინფექციები, რაც შემთხვევათა 45%-ში ლეტალობით მთავრდება.<sup>39</sup>

**კუჭის კარცინომა** - EBV მნიშვნელოვან როლს ასრულებს კუჭის ავთვიასებიანი სიმსიგნის განვითარებაში. კუჭის კარცინომის მქონე პაციენტების 10% სიმსიგნურ ქსოვილში ხდება EBV გენომის აღმოჩენა. Helicobacter pylori - თან კოინფექციისას იზრდება კუჭის ავთვიასებიანი კარცინომის განვითარების რისკი.<sup>54</sup>

## ინფექციური მონოუკლეოზის გართულებები

### ჰემატოლოგიური გართულებები

ინფექციური მონოუკლეოზით დაავადებულთა 0,5-3%-ში ვითარდება აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემია. ჰემოლიზი ვლინდება დაავადების მე-2-3 კვირას და გრძელდება 1-2 თვე.<sup>42</sup>

ინფექციურ მონოუკლეოზს ახასიათებს უმნიშვნელო ორომბოციტოპენია. გაურთულებელ შემთხვევაში მისი მაჩვენებელია 140000/მმ<sup>3</sup>. იშვიათად არის ღრმა ორომბოციტოპენია სისხლდენით (1000/მმ<sup>3</sup>). ძვლის ტვინში მეგაკარიოციტების ნორმალური ან მომატებული რაოდენობა და პერიფერიულ სისხლში ანტიორომბოციტული ანტისხეულების არსებობა მიუთითებს აუტოიმუნური პროცესის არსებობაზე.<sup>43</sup>

ინფექციის გამოვლენიდან პირველ კვირას სისხლში აღინიშნება ზომიერი ნეიტროპენია, თუმცა აგრანულოციტოზისა და აპლასტური ანემიის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის მონაცემების მიხედვით, EBV გამოწვეული ინფექციის 4%-ი შეიძლება გართულდეს აუტოიმუნური აგრანულოციტოზით, მწვავე დაავადების გადატანიდან 1 წლის შემდეგაც კი.<sup>64</sup> აღნიშნულ გართულებას ხშირად თან ახლავს ბაქტერიული სუპერინფექცია, პნევმონიისა და სეფსისის განვითარება, რაც ხშირად ლეტალური გამოსავლის მიზეზი ხდება.<sup>4</sup>

### ელენთის გასკდომა

შესაძლოა განვითარდეს ინფექციური მონოუკლეოზით დაავადებიდან მე-2-3 კვირას (0,1-0,55%-ში).<sup>55</sup> მამაკაცებში 5-ჯერ მეტი სისტირით გვხვდება, ვიდრე ქალებში. აღნიშნული გართულება დაკავშირებულია ელენთის კაფსულის, ტრაბეკულებისა და სისხლძარღვების კედლის ლიმფოციტურ ინფილტრაციასთან.<sup>44</sup> ზოგჯერ ადგილი აქვს ელენთის ორმაგ გახეთქვას: პირველის დროს სისხლი ჩაიქცევა ელენთის კაფსულაში. კლინიკურად ვლინდება ტკივილი მუცლის ქვემო ნაწილში, ეცემა ჰემოგლობინის დონე, ვითარდება კოლაფსი. ჰემატომის მოცულობაში ზრდა იწვევს კაფსულის გახეთქვას და სისხლის ჩაღვრას მუცლის ღრუში. აღნიშნული გართულების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია დაავადების პირველ 2-3 კვირის განმავლობაში ფიზიკური დატვირთვის შეზღუდვა.<sup>18,21</sup>

### ნევროლოგიური გართულებები

ეპშტეინ-ბარის ვირუსით ინფექციის დროს ოოგორც იმუნოკომპეტენტურ, ასევე იმუნოკომპრომეტირებულ პირებში შესაძლოა განვითარდეს ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებები: მენინგიტი, ენცეფალიტი, გიენ-ბარეს სინდრომი, მიელიტი, მიელორადიკულიტი, ენცეფალომიელორადიკულიტი, მხედველობის ნერვის ანთება, რეტრობულბური ნევრიტი, კრანიული ნერვების დამბლა, მხრის წნულის ნეიროპათია, კრუნჩხვები, ქვემწვავე მასკლეროზებელი პანენცეფალიტი,

შებრუნებითი მიელიტი, ფსიქოზი, დემიელინიზაცია, პემიპლეგია. აივ ინფიცირებულებსა და ტრანსპლანტაციის რეციპიენტებში ვითარდება ცნს-ის ლიმფომები.<sup>45</sup>

### **ღვიძლის დაზიანება**

მონონუკლეოზური პეპატიტი (ალტერილია პირველადი მწვავე ინფექციური მონონუკლეოზის განხილვისას) ჩვეულებრივ კეთილთვისებიანად მიმდინარეობს, თუმცა ეპშტეინ-ბარის ვირუსმა იშვიათად შეიძლება გამოიწვიოს ფულმინანტური პეპატიტი, ღვიძლის უკმარისობა და ციროზი.<sup>21,61</sup>

### **გართულება თირკმლების მხრივ**

ვლინდება იშვიათად, მიკროპემატურიისა და პროტეინურიის სახით. იშვიათად ვითარდება თირკმლის მწვავე უკმარისობა.<sup>47</sup>

### **გართულება გულის მხრივ**

გეხვდება იშვიათად. ძირითადი ცვლილებები ვლინდება ეპგ-ზე. თუმცა შესაძლოა პერიკარდიტისა და ფატალური მიოკარდიტის ჩამოყალიბებაც.<sup>48,49</sup>

### **სასუნთქი გზების დაზიანება**

იშვიათად ვითარდება ზედა სასუნთქი გზების ობსტრუქცია, რომელიც ლიმფური კვანძების პიპერპლაზიის შედეგია.<sup>4</sup>

ინფექციური მონონუკლეოზის დროს შესაძლოა ინტერსტიციული პნევმონიის განვითარება. ფილტვის დაზიანების მიზეზად ეპშტეინ-ბარის ვირუსი მაშინ ჩაითვლება, როდესაც მოხდება სხვა გამომწვევი აგენტის გამორიცხვა.<sup>50</sup>

გართულებებიდან ლეტალური გამოსავლის ყველაზე ხშირი მიზეზია:<sup>4</sup> ზედა სასუნთქი გზების ობსტრუქცია, ნევროლოგიური გართულებები, გრანულოციტოპენია და აგრანულოციტოზი, თრომბოციტოპენია, ღვიძლის უკმარისობა, მიოკარდიტი და ელენთის გასკდომა.

## **5. დააგადების დიაგნოზი**

ინფექციური მონონუკლეოზის დიაგნოზი ეყრდნობა შემდეგ კლინიკურ ნიშნებსა და ლაბორატორიულ მონაცემებს:

ა) 1. ინფექციურ მონონუკლეოზი **საგჟვოა**, თუ პაციენტს აღენიშნება:

**კლინიკური ნიშნები:**

ცხელება და ერთი ნიშანი ჩამოთვლილიდან: ტონზილიტი, ლიმფადენოპათია, სპლენომეგალია.



**ლაბორატორიული მაჩვენებლები:**

- ლეიკოციტოზი
- ლიმფოციტოზი
- მონოციტოზი
- ატიპური მონონუკლეარები

2. დიაგნოზი **საგარაუდოა**, თუ ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებთან ერთად სისხლში სეროლოგიური გამოკვლევებით აღმოაჩნდება:

- ჰემიგრაფიულური ანტისეულები

ჰემიგრაფიულური ანტისეულების განსაზღვრა ხდება ჰემიგროპემაგლუტინაციის რეაქციით (პაულ-ბუნელ-დავიდსონის რეაქცია). როდესაც ანტისეულების ტიტრი 1:40 აღწევს ინფექციური მონონუკლეოზის დიაგნოზი საგარაუდოა.<sup>4,5,7</sup>

არსებობს ჰემიგრაფიულური ანტისეულების აღმოჩენის სწრაფი სლაიდ-ტესტი - ე.წ. Monospot ცდა, რომელიც ასევე ეფუძნება ჰემიგრაფიულუტინაციის რეაქციას.<sup>5,7</sup>

პაციენტთა 50%-ში ჰემიგრაფიულური ანტისეულები ვლინდება დაავადების პირველ კვირას, ხოლო 60-90%-ში - მე-2-3 კვირას. მე-4 და მე-5 კვირიდან იწყება ანტისეულების ტიტრის დაჭვითება. აგადმყოფთა 20%-ი 1-2 წლის განმავლობაში რჩება ჰემიგრაფიულ-პოზიტიური. რაც შეეხება ბავშვთა ასაკს, ინფექციური მონონუკლეოზის შემთხვევაში, ჰემიგრაფიულური ანტისეულები ყოველთვის არ წარმოიქმნება. მხოლოდ 2 წლამდე ასაკის 10-30% და 2-4 წლის ასაკის 50-75% არის ჰემიგრაფიულ-პოზიტიური.<sup>5,7</sup>

3. ინფექციური მონონუკლეოზის **დადასტურებული შემთხვევა**

ინფექციური მონონუკლეოზზე საგჟვო და საგარაუდო შემთხვევის დროს იწყება დაავადების კლინიკური მართვა. ამასთან ერთად გრძელდება პაციენტის შემდგომი კვლევა EBV ინფექციაზე:

- სისხლში EBV-ის საწინააღმდეგო სპეციფიკური ანტისეეულების განსაზღვრა.
- ოროფარინგეულ სეკრეტში პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციით (პჯრ) ვირუსის დნმ განსაზღვრა\*

ვირუსსაწინააღმდეგო სპეციფიკური ანტისეეულების განსაზღვრა ხდება არაპირდაპირი იმუნოფლოურესცენციის, იმუნობლოტისა და ენზიმნიშანდებული იმუნოანალიზის მეთოდით. დაავადების საწყისი ეტაპზე წარმოიქმნება ვირუსის კაფსიდის საწინააღმდეგო IgM და IgG (ანტი-VCA-IgM და ანტი-VCA-IgG). IgM მაღალ ტიტრში რჩება 2 თვე, ხოლო IgG - მთელი ცხოვრება. IgM-ის ტიტრი მაქსიმუმს აღწევს დაავადების 2-3 კვირას, ხოლო IgG - მე-2-3 თვეზე<sup>5,7</sup>

ადრეული ანტიგენის საწინააღმდეგო ანტისეეულებია (ანტი-EA) დიფუზური (ანტი-D) და ციტოპლაზმური (ანტი-R). ანტი-D პიკს აღწევს დაავადების დაწყებიდან მე-3-4 კვირას და პერსისტირებს 3-6 თვის განმავლობაში, ხოლო ანტი-R ვლინდება მე-2 კვირიდან ან რამდენიმე თვის შემდეგ და რჩება 2-3 წლამდე. ნუკლეარული ანტიგენის საწინააღმდეგო ანტისეეულები (ანტი-EBNA) მოგვიანებით - რეკონვალესცენციის პერიოდში ვლინდება (საშუალოდ მე-3-6 კვირას) და რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე<sup>5,7</sup> (ცხრილი №2)<sup>2</sup>

\* ძირითადად დიაგნოზის საბოლოოდ დასადასტურებლად საგმარისია სეროლოგიური რეაქციების ჩატარება, რადგან პჯრ შეიძლება დადებითი იყოს პრაქტიკულად ჯანმრთელ, ლატენტურად ინფიცირებულ პირებში. ამიტომ ინფექციური მონონუკლეოზისთვის კვლევის ამ მეთოდის ჩატარება აუცილებელი არ არის.

**EBV-ს ასოცირებული დააგადებების დროს EBV-ის საჭიროაღმდებო  
ანტისენზულების სეროლოგიური ნიმუშები<sup>2</sup>**

ცხრილი №2

დააგადების ფორმა	ანტისენზულები								
	VCA			EA - D		EA - R	EBNA		ჰეტეროფილ ური ანტისენზულები
	IgM	IgG	IgA	IgG	IgA	IgG	IgG	IgM	
ინფექცია არ არის	-	-	-	-	-	-	-	-	-
ინფექციური მონონუკლეოზი	+	+/+	-	+	-	+/-	-	+/-	+
სუბკლინიკური პირველადი ინფექცია	+	+	-	+/-	-	-	+/-	+	
გადატანილი ინფექცია	-	+	-	+/-	-	-	+	+/-	-
რეაქტივაცია იმუნდეფიციტთან ერთად	+/-	+/+	+/-	+/+	+/-	+/-	+/-	+/-	+/-
ბერკიტის ლიმფომა	-	+/+	-	+/-	-	+/+	+	ND	-
ნაზოფარინგეული კარცინომა	-	+/+	+	++	+	-	+	ND	-

+/- - ანტისენზულების მზარდი ტიტრი

+ - ანტისენზულები პოზიტიურია

- - ანტისენზულები ნეგატიურია

ND - არ არის მონაცემები

## **დიზერნაციული დიაგნოზი (ჩამონათვალი)**


ინფექციური მონონუკლეოზის დიგერენციულ დიაგნოზს ატარებენ შემდეგ დაავადებებთან:<sup>1,4</sup>

- ტოქსიკური დიფთერია.
- სტრეპტოკოკული ეტიოლოგიის ანგინა.
- ვირუსული ჰეპატიტები.
- ციტომეგალოვირუსული ინფექცია.
- მწვავე ტოქსოპლაზმოზი.
- ადენოვირუსული ინფექცია.
- მწვავე ლეიკოზი.
- პირველადი აივ-ინფექცია (მწვავე რეტროვირუსული სინდრომი).
- წითურა.

## 6. გამოპვლევის სშმა

ინფექციური მონონუკლეოზის დამადასტურებელი და გამომრიცხავი  
კრიტერიუმები  
(ალგორითმი)

### 1. გამოპვლევის სშმა პირგელადი ჯანდაცვის რბოლისთვის




**პლიტიკური ნიშნების****კლინიკური ნიშნები:**

ცხელება და ერთი ნიშანი ჩამოთვლილთაგან:  
ტონზილიტი, ლიმფადენოპათია, სპლენომეგალია.

**ლაბორატორიული მაჩვენებლები:**

- ლეიკოციტოზი
- ლიმფოციტოზი
- მონოციტოზი
- ატიპური მონონუკლეარები

არც ერთი  
ნიშანი სახეზე  
არ არის



\* ძირითადად დიაგნოზის საბოლოოდ დასადასტურებლად სატმარისია სეროლოგიური რეაქციების ჩატარება, რადგან პჯ-ით ვირუსის დნმ-ის განსაზღვრად ჯანმრთელ, ლატენტურად ინფიცირებულ პირებში. ამიტომ ინფექციური მონონუკლეოზისთვის კვლევის ამ მეთოდის ჩატარება აუცილებელია.

## 7. მკურნალობის სქემა

დღეისთვის ინფექციური მონონუკლეოზის ეტიოლოპული მკურნალობა არ არსებობს. ძირითადად ატარებენ პათოგენეზურ და სიმპტომურ თერაპიას.

- დაავადების პირველი 2 კვირის განმავლობაში რეკომენდებულია წოლითი რეჟიმის დაცვა, განსაკუთრებით გამოხატული სპლენომეგალიის დროს.<sup>4</sup>
- ნაჩვენებია ადგილად მოსანელებელი, ვიტამინებით მდიდარი და მაღალკალორიული საკვების და სითხეების მიღება.<sup>57</sup>
- სიმპტომური თერაპია:
  - დაავადების მწვავე ფაზაში ატარებენ პირის დრუს სანაციას ანტისეპტიკური სესნარებით.<sup>4,57</sup>
  - ცხელების შემთხვევაში გამოიყენება არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები და აცეტამინოფენი.<sup>14</sup>
  - გამოხატული ინტოქსიკაციის დროს ატარებენ ინტრავენურ დეზინტოქსიკაციურ ინფუზურ თერაპიას.

## ბართულებების მკურნალობა

**გლუკოკორტიკოიდები** (პრედნიზოლონი, პრედნიზონი) გამოიყენება ინფექციური მონონუკლეოზის მძიმე მიმდინარეობისა და შემდეგი გართულებების შემთხვევებში:<sup>4</sup> (აღნიშნული რეკომენდაცია შეესაბამება მტკიცებულების სიძლიერის I დონეს (Muir Gray) და რეკომენდაციის A ხარისხს (Cook et al)).

1. სასუნთქი გზების ობსტუქცია.
2. თრომბოციტოპენია
3. ჰემოლიზური ანემია
4. ნერვული სისტემის დაზიანება
5. მიოკარდიტი, ჰერიკარდიტი.

პრედნიზოლონი ინიშნება შემდეგ დოზებში: მოზრდილებში - 40-80მგ დღეში per os. ეფექტი მიიღწევა მაღვე, ამიტომ ერთ-ორ კვირაში აუცილებელია დოზის კლება. ბაგშებში - ინიშნება 1მგ/კგ წონაზე.

## ანტივირუსული მკურნალობა

აციკლოვირი ამცირებს EBV გამოყოფას ოროფარინგეული სეკრეტით, თუმცა არ იძლევა დადებით თერაპიულ ეფექტს დაავადების კლინიკურ მიმდინარეობაზე.<sup>67</sup> (მოცემული რეკომენდაცია შეესაბამება მტკიცებულების სიძლიერის I დონეს (Muir Gray) და რეკომენდაციის A ხარისხს (Cook et al)).

აღნიშნული პრეპარატი ვერ ანალგურებს ვირუსს ინფიცირებულ B ლიმფოციტებში, ამიტომ აციკლოვირის გამოყენება გაურთულებელი ინფექციური

მონონუკლეოზის დროს ნაჩვენები არ არის.<sup>68</sup> (მოცემული რეკომენდაცია შეესაბამება მტკიცებულების სიძლიერის I დონეს (Muir Gray) და რეკომენდაციის A ხარისხს (Cook et al). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აციკლოვირის გამოყენება რეკომენდებულია შემდეგ შემთხვევებში:<sup>2</sup> (რეკომენდაცია შეესაბამება მტკიცებულების სიძლიერის Vb დონეს (Muir Gray) და რეკომენდაციის D ხარისხს (Cook et al).

1. გენერალიზებული მენინგოენცეფალიტი - აციკლოვირი 10მგ/კგ 0/3.
2. ობსტრუქციული ფარინგოტონზილიტი - აციკლოვირი 5მგ/კგ 8სთ-ში ერთხელ 0/3.
3. ინტერსტიციული პნევმონია - აციკლოვირი 5მგ/კგ 8სთ-ში ერთხელ 0/3.
4. იმუნოსუპრესიული პაციენტები - აციკლოვირი 10მგ/კგ 6სთ-ში ერთხელ.

მძიმე ჰეპატიტის აციკლოვირით მკურნალობა ნაჩვენები არ არის. ამ შემთხვევაში გამოიყენება განციკლოვირი. იგი განაპირობებს ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებასა და დგიძლის ენზიმების დონის კორექციას.<sup>58</sup> (რეკომენდაცია შეესაბამება მტკიცებულების სიძლიერის Vb დონეს (Muir Gray) და რეკომენდაციის D ხარისხს (Cook et al).

აგრანულოციტოზის განვითარების შემთხვევაში ჰემოპოეზის სტიმულაციის მიზნით, რეკომენდებულია ფილგასტრიმის გამოყენება.<sup>64</sup> (რეკომენდაცია შეესაბამება მტკიცებულების სიძლიერის Vb დონეს (Muir Gray) და რეკომენდაციის D ხარისხს (Cook et al).

ფილგასტრიმის რეკომენდებული დოზებია: 1,0მლნ. ს.ე. (10მგ/კგ) 24 საათიანი უწყვეტი 0/3 ინფუზიით ან კანქვეშა ინექციით დღეში ერთხელ. მკურნალობის ხანგრძლივობა განისაზღვრება პერიფერიულ სისხლში ნეიტროფილების აბსოლუტური რიცხვის მიხედვით.

## ანტიგირატიკორაპია

დაავადების ბაქტერიული სუპერინფექციით გართულებისას ატარებენ ანტიბიოტიკორაპიას გამომწვევის პრეპარატისადმი მგრძნობელობის მიხედვით.

## ბაზოთხილება:<sup>66</sup>

**ინფექციური მონონუკლეოზის დროს არ არის რეკომენდებული.**

- ⇒ ამპიცილინით მკურნალობა, ვინაიდან მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ ვითარდება გამონაყარი.
- ⇒ სიმპტომური თერაპიისთვის ასპირინის გამოყენება რეი-ს სინდრომის განვითარების მაღალი რისკის გამო.

## **8. რეაბილიტაცია/მეთვალყურეობა**

EBV ახასიათებს ორგანიზმში პერსისტენცია და ლატენცია. ინფექციური მონონუკლეოზის გადატანის შემდეგ კვირებისა და თვეების მანძილზე შესაძლოა დარჩეს სისუსტე, დაღლილობა, თავის ტკივილი, მიაღვია, პერიოდულად ტემპერატურის მატება, ლიმფური კვანძების გადიდება, ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, მეტეორიზმი, ანორექსია, პეპატოსპლენომეგალია, ცვლილებები სისხლის შრატის ცილოვან ფრაქციებსა და ზოგჯერ, ლვიძლის ფუნქციურ სინჯებში.

დაავადების ნარჩენი კლინიკური ნიშნები, რომლებიც 6 თვის განმავლობაში უბრუნდება ნორმას განიხილება, როგორც ინფექციური მონონუკლეოზის რეკონვალესცენტური სინდრომი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ინფექციური მონონუკლეოზის რეკონვალესცენტები აყვანილ უნდა იქნან დისპანსერულ მეთვალყურეობაზე, რათა ჩვენების მიხედვით ჩაუტარდეთ სათანადო გამოკვლევები და მკურნალობა. ეს იქნება ინფექციური მონონუკლეოზის ქრონიკული ფორმის პროფილაქტიკის ძირითადი დონისძიება. დაუშვებელია დაავადებული 6 თვის მანძილზე იყოს სისხლის დონორი.

ქრონიკული და ლატენტური ფორმების მეთვალყურეობა (დისპანსერიზაცია) უნდა გაგრძელდეს წლების მანძილზე, რომ დროულად იქნეს გამოვლენილი ის დამახასიათებელი მძიმე სინდრომები, რომლებიც ქრონიკული და ლატენტური ფორმის რეაქტივაციის დროს გვხვდება. ამ მიზნით, კლინიკურ გამოკვლევებთან ერთად ავადმყოფის სიმძიმის შესაფასებლად და სინდრომის ებშტეინ-ბარის ინფექციასთან დასაზუსტებლად აუცილებელია ჩაატარონ ყველა არსებული ლაბორატორიული კვლევები.

## **9. პრაქტიკაში ადაპტაციის და პროტოკოლის შემუშავების რეპორტირები**

რეკომენდებულია ექიმთა ფართო საზოგადოების გაცნობიერება ებშტეინ-ბარის ვირუსით გამოწვეული ქრონიკული, ლატენტური ფორმებისა და დამახასიათებელი მძიმე სინდრომების შესახებ.

## **10. გაიდლაინის გადასინჯვის და განახლების ვადა**

ვინაიდან დღეისთვის EBV გამოწვეული ინფექციის ეტიოტროპული მკურნალობა შემუშავებული არ არის, სასურველია გაიდლაინი წელიწადში ერთხელ გადაისინჯოს ყოველწლიური სიახლეების შეტანის მიზნით.

## **11. გაიდლაინის მიღების ხერხი/შეარო**

გაიდლაინი მიღებულია სხვადასხვა გაიდლაინების, სახელმძღვანელოების და საერთაშორისო უურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების და სტატიების შეჯერებით.

## 12. ალტერნატიული გაიდლაინი ამჟამად არ არსებობს

## 13. გამოყენებული ლიტერატურა

1. ებოცვაძე: *ინფექციური დაავადებები 2000.*
2. **Anderson J.** :An overview of Epstein-Barr virus: From discovery to future direction for treatment and prevention. *J Herpes 2000; 7:76-82.*
3. **Лобзина Ю.В.** – Руководство по инфекционным болезням С- Петербург, «Фолиант». 2000 – стр. 932.
4. **Robert T Schooley:** Epstein-Barr virus (infectious mononucleosis)- *Mandell GL, Bennet JE, Dolin R. Principles and Practice of Infectious Disease. Fifth edition. 2000 p.1599.*
5. **National Center for Infectious Disease (CDC).** Epstein-Barr virus and Infectious Mononucleosis. *Updated:19.10.2006 [www.CDC.gov](http://www.CDC.gov)*
6. **Junker AK:** Epstein-Barr virus. *Pediatrics in review 2005;26:79-85. American Academy of Pediatrics.*
7. **Glenna B.Winnie:** Epstein-Barr virus. *J Medicine, April 3 2002, Volune 3,Number 4.*
8. **Дж. Коэн** «Инфекционный мононуклеоз и другие инфекции, вызываемые вирусом Эпштейна-Барр». *Харрисон 2000 стр. 1330 .*
9. **Management strategies in Herpes.** Chapter 3.*J of Herpes 2000.*
10. **Sandstorm E, Whitney RJ.** Manegment strategies in Herpes: The increasing importance of Cytomegalovirus, Epstein-Barr virus and the Human Herpesviruses Types 6,7 and 8. *Worthing PPS Europ Ltd,1996. International Herpes Menegement Forum (IHMF) 2000.*
11. **А.А. Воробьёва:** Медицинская микробиология, вирусология и иммунология. 2004.
12. **Blazer B, Patarroyo M, Klein E, et al.:**Increased sensitivity of human lymphoid lines to natural killer cells after induction of the Epstein-Barr viral cycle by superinfection or sodium butyrate. *J Exp. Med. 1980;151:614-617.*
13. **Langhorne J, Feizi T, :** Studies on the heterophile antibodies of Infectious Mononucleosis. *Clin. Exp. Immunol. 1977;30:354-363.*
14. **Niedobitek G, Agathangelou A,Rowe M, et al:** Heterogenous expression of Epstein-Barr latent proteins in endemic Burkitt's lymphoma. *Blood;1995;86:659-665.*
15. **Busson P, McLoy R, Sadler R, et al. :**Consistent transcription of the EBV LMP2 gene in nasopharyngeal carcinoma. *J Virol. 1992;66:3257-3262.*
16. **Henle W., Henle G.,Horwits CA.,** EBV specific diagnostic tests in infectious mononucleosis. *Hum Pathol. 1974; 5:515-575.*
17. **Evans AS, Niedarman JC.** A prospective evaluation of heterophile and EBV specific IgM antibody in clinical and subclinical infectious mononucleosis. *J Infec. Disease.1975;132:546-5.*
18. ა.კიტაშვილი. ინფექციური მონონუკლეოზი. 1973
19. **Drebber U., Kasper HU, Krupacz J.,Hafercamp X.,Kern MA, Steffen HM, Quasdorff M, Hausen A.,Odenthal M, Dienes HP.** The role of EBV in acute and chronic hepatitis. *J of Hepatology 2006;44:879-885.*

20. **Hoagland RJ.** Infectious mononucleosis. *Am J Med.* 1952;13:158-171
21. **А.А. Квиташвили:** Вопросы клиники и патогенеза инфекционного мононуклеоза. Диссертация на соискание учёной степени доктора медицинских наук 1976
22. **Pullen H, Wright N, Murdock J.** Mec. Hypersensitivity reactions to antibacterial drugs in Infectious Mononucleosis. *Lancet* 1967;2:1176-1178.
23. **Putel BM:** Skin rash with Infectious mononucleosis and ampicillin. *Pediatrics.* 1967;40:910-911.
24. **Schooley RT, Carey RW, Miller G. et al.** Chronic EBV infection associated with fever and interstitial pneumonitis. *An Inter. Med.* 198. 6;104:636-643.
25. **Penn I.** Cancers complicating organ transplantation. *An Engl. J MED.* 1990;323:1767-1763
26. **Antonio Volpi;** Epstein-Barr virus and human Herpes-virus Type 8:Infections of the Central Nervous Sistem. *J Herpes.* 11 Supplement 2. 2004.
27. **Blum KA, Lozansky G.** Adult Burkitt's leukemia and lymphoma. *Blood,* 2004, Vol 10-N 104; p.3009.
28. **Е.А. Барях, Т.Н. Обухова, Е.Е. Звонков, С.К. Кравченко:** Педиатрический научный центр Лимфома Беркета: клиника, диагностика, лечение. РАМН Москва 2002
29. **American Medical Network.** Burkitt's Lymphoma .2006. [www.health.am](http://www.health.am)2002
30. **Jarret RF.** Viruses and Hogkin's lymphoma. *An Oncol.* 2002;13 (Supplement 1);23-29.
31. **Kuppers R.** Molecular biology of Hogkin's lymphoma. *Adv Cancer Res* 2002. 84:277-312.
32. **Jan Anderson;** Epstein-Barr virus and Hogkin's lymphoma. *J Herpes* 13:1;2006.
33. **Sarah S,Donaldson.** Hogkin's Disease in children, seminars in oncology, Vol 17, N6;1990; p.736-748.
34. **Shoo9 X Hes, Chens, Yaok.** Expression of Epstein-Barr virus-dependent transformation of human nasopharyngeal epithelial cells. *Int J.Cancer* 1997;71:7750-755.
35. **Walter W.K. King and Arthur K,CLI.** Nasopharyngeal cancer- Chinese perspective. 1997
36. **King WK, Teo PML, Li Akc.** Pattern of failure after radical neck dissection for recurrent Nasopharyngeal carcinoma. *Am. J-Surg* 1992;164:599
37. **Hamiton OK, Paquin LA, Purtilo DT, et al.** X-linked lymphoproliferative syndrome registry report. *J Pediatr.* 1980.
38. **Coffen AI, Brooksbank RA, Brandau O et al.** Host respons to the EBV infection in X-linked lymphoproliferative disease result from mutacion in an SH2 domain encoding gene. *Nat Genet* 1998;20:129-135.
39. **Okano M, Gross TG.** EBV-assosiated hemophagocytic syndrome and fatal infectious mononucleosis. *Am J Haematology* 1996;53:111-116
40. **Penn I.** Cancers complicating organ transplantation. *N Engl J Med.* 1990;323:1767-1769.
41. **Paya CV, Furg JJ, Nalesnik MA, Kieff E, Green M, Cirosa G, et al.** EBV induced posttransplantant lymphoproliferative disorders. *Transplantation* 1999;68:1517-1525.
42. **Bowman HS, Marsh WL, Schumacher HR, et al.** Autoanti-N immunohaemolytic anemia in infectious mononucleosis. *Am J Clin Pathol* 1974;61:465-472.
43. **Clark BF, Davies SH,** Severe thrombocytopenic purpura with infectious mononucleosis. *J Pediatr* 1963;63:46-60.

44. **Hoagland RJ, Henson HM**, Splenic rupture in infectious mononucleosis. *Ann Intern Med.* 1957;46:1184-1191.
45. **Antonio Volp**: Epstein-Barr virus and Human Herpesvirus Type 8.: Infections of the Central Nervous System. *J Herpes. Supplement 2.2004*.
46. **Adamson DJ, Gordon DM**, Hemiplegia- a rare complication of acute EBV infection. *Scand J Infec. Disease* 1992;24:379-380.
47. **Mayer HB, Wankle CA, Williams M**. EBV-induced infectious mononucleosis complicated by acute renal failure. *Case report and review. Clin Int. Disease* 1998;22:10091018.
48. **Hoagland RJ**, Mononucleosis and hurt disease. *Am J Med Sci* 1964;248:1-6.
49. **Penman HG**. Fatal infectious mononucleosis.A critical review. *J Clin Pathol.* 1970;23:765-771.
50. **Barbara JA, Hayashi S, Hegele RG, et al**. Detection of Epstein-Barr Virus in lymphocytes. Interstitial pneumonia by in situ hybridization. *Am Rev Respir Dis.* 1992;145:940-946
51. **Sandstorm E, Whittey R**. Management strategies in Herpes. PPs Europ LTDP. 1998.
52. **Gandhi MK, Lambley E, Burrous J, Dua Y, Elliott S, Shaw PJ, Prince HM, Wolf M, Undechill C et al**. Plasma EBV DNA is a biomarker for EBV-positive Hodgkin's lymphoma. *EBV conference, session 19, Poster Session II.2006*.
53. **Hsieh WC, Su LJ**, Heterophile Antibodies triggers phagocytosis of red cells by macrophages in EBV-associated haemophagocytic syndrome. *EBV conference, session 19, Poster Session II. 2006*.
54. **Oh ST, Cha IH, Shin DJ, Lee SK**. Tumorogenesis of EBV positive Gastric Carcinoma cell line. SN4-719 in Nude mouse. *EBV conference, Session 13, Poster session II.2006*.
55. **Chapman Ann LN**,. Abdominal pain in acute infectious mononucleosis. *BMJ* 2002;324:660-661.
56. **Burroughs Kevin E.MD**.*Arch Fam Med.* 200;p.1122-1123.
57. **Petra Margosch-Pfeifersches Drusenfieber**, Infectiose Mononucleose. *Literaturarbeit C.O.E. Europisches Colleg fur Osteopathie.* 2006.
58. **Leon A Adams, Batiaan Deboer, Gary Jeffrey, Georg Garas, Richard Marley**: Ganciclovir and the treatment of EBV hepatitis. *J of Gastroenterology and Hepatology* 21 (2006) 1758-1760.
59. **Murkin RS**, Manifestacion of Epstein-Barr virus associated disorders in liver. *Liver* 1994; 14:1-13.
60. **Cohen JK**. Epstein-Barr virus infection. *N Eng. J Med.* 2000;343:481-492.
61. **Kimura H, Nagasaka T, Hoshino Y, et al**. Severe hepatitis caused by EBV without infectious of hepatocytes. *Hum Pathol* 2001; 32: 757-762.
62. **Palletier LL, Borel DM, Romig DA, et al**. Dissminated intravascular coagulation and hepatic necrosis *JAMA* 1976;235: 1144-1146/.
63. **Gartner Barbara DR, Muller- Latsch Prof.DR**, Universitait- skliniken des Saarlandes, Gesellschaft Fur Virologie.g.f.v.org.
64. **Bric S, Aleksic- Dordevic M, Belic A, Jovanovic J, Bogdanovic M**. Agranulocytosis as a complication of acute infectious mononucleosis. *National Library of Medicine.* 2000.
65. **Перадзе Хатуна**: Клинико-лабораторные особенности острых и хронических форм Эпштейна-Барр вирусной инфекции (инфекционного мононуклеоза) у подростков и лиц

молодого возраста. Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата медицинских наук С.Петербург. 2003.

66. **Ebell M.** Epstein-Barr virus infectios mononucleosis. *Am Fam Physician* 2004;70:1279-87. *Guideline*
67. **Torre D, Tambini R.** Aciclovir for treatment of infectious monocukleosis: a meteanalisis. *Scand J Infect. Dis.* 1999;31:543-547
68. **Tynell E, Aurelius E, Brandell A et al.** Acyclovir and prednisolone treatment of acute infectious mononucleosis:*a multicenter double-blind, placebo-controlled study.*

#### 14. აგზორები:

ს. ინფექციური პათოლოგიის, შილისა და კლინიკური იმუნოლოგიის  
სამაცნიერო-კრატიკული ცენტრი

- ⇒ აკად. ეთერ ბოცვაძე
- ⇒ მარინა ბეჟუაშვილი
- ⇒ მარინა კახობერაშვილი

#### მქანერთები:

საქართველოს ინფექციონისტთა, ჰეპათოლოგთა, კარაზიტოლოგთა,  
მიკრობიოლოგთა და ეკოლოგიოლოგთა ასოციაცია

- ⇒ მედ. მეც. კანდ. თენგიზ ცერცვაძე
- ⇒ პროფ. მარინა კვიტაშვილი
- ⇒ დოც. თინა კაციტაძე
- ⇒ გიორგი ბეიტრიშვილი
- ⇒ ლელა წოწორია – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;
- ⇒ თეა თავიდაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი.